საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე

აბაშიძე ასლან

აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე (დ. 20. VII. 1938, ბათუმი), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. გენ.-მ. (1995). მემედ აბაშიძის შვილიშვილი.

დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1962) და თსუ-ის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტი (1984). 1963–84 აჭარაში იმყოფებოდა საზოგადოებრივ და სამეურნეო სამუშაოზე. 1984–86 იყო აჭარის არასაყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი. 1986–89 საქართვ. საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნ. მეურნეობის მინისტრის მოადგილე, პირველი მოადგილე; 1989–91 კონცერნ „საქყოფსერვისის“ პრეზიდენტი.

1991 მარტიდან აჭარის ავტ. რესპ. უზენაესი საბჭოს თავ-რის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 1991 ივლისიდან 2004 მაისამდე – თავ-რე. 1992 ოქტ-იდან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავ-რის მოადგილე. 1992-იდან სრულიად საქართველოს აჭარის აღორძინების კავშირის თავ-რე.

ამჟამად ცხოვრობს რუსეთში.